



## საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

---

### კვარჩხილავი

კვარჩხილავი, სოფელი სენაკის მუნიციპალიტეტის ძველი სენაკის თემში (სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონი), ოდიშის დაბლობზე, მდ. კვარჩხილავის (ტეხურის მარჯვ. შენაკადი) ნაპირას. ზ. დ. 80 მ, სენაკიდან 10 კმ. 2014 აღწერით მუდმივი მოსახლე არ არის.

სოფლის მახლობლად მდებარეობს ზედაცარცული ასაკის მასიურ კირქვებში გამომუშავებული კარსტული მღვიმე. მღვიმის სიგანე (3,5 მ) და სიმაღლე (3 მ) შესასვლელიდან 45 მ-მდე თითქმის უცვლელია. მთავარი გვირაბის სიგრძე 65 მეტრია, ფსკერის ფართობი – 200 მ<sup>2</sup>, საერთო მოცულობა – 400 მ<sup>3</sup>. მღვიმე პირველად აღწერა ლ. მარუაშვილმა, კომპლექსურად გამოიკვლია ბ. გერგედავამ.

ლიტ.: ტ ა ტ ა შ ი ძ ე ზ., ნ ი ქ ა რ ი შ ვ ი ლ ი კ., ჯ ი შ კ ა რ ი ა ნ ი ჯ., საქართველოს კარსტული მღვიმეების კადასტრი, თბ., 2009.

---